




საშურის მოახბე



№46 (467) 25 ნოემბერი, ორშაბათი, 2024 წელი

საშურში აქტიურად გრძელდება წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების რეაბილიტაცია

პროექტის მიმდინარეობასთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტში შეხვედრები ინტენსიურად იმართება.

ამჯერადაც, ადმინისტრაციულ შენობაში, საშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი, საშურის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ზვიად ჟურაძე და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები, საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დირექტორის მოადგილე გუგა კაკაბაძეს, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის თანამშრომლებსა და საერთაშორისო ტენდერში გამარჯვებულ კონტრაქტორ თურქული კომპანიის- „JV of YDA Insaat Sanayi Ve Ticaret Anonim Sirketi & Ardem Yapı Gayrimenkul Insaat Taahut Akar. Mad. Tic. A.S“ წარმომადგენლებს შეხვდნენ.

შეხვედრა პროექტის მიმდინარეობის დეტალების განხილვას და მოსახლეობის ინტერესების მეტად გათვალისწინებას ემსახურებოდა.

აღინიშნა, რომ ტენდერში გამარჯვებული კომპანია, ვალდებულია, სამუშაოების განხორციელების შემდეგ, მოაწესრიგოს საგზაო ინფრასტრუქტურა, ამიტომ პირველ რიგში, ის ქუჩები უნდა მოეწყოს, სადაც პროექტი დასრულდა.

მნიშვნელოვანია, რომ მასშტაბური სამუშაოების განხორციელების შემდეგ, ქალაქ საშურის მოსახლეობის, დაახლოებით 30 000 ადამიანი, 24 საათიანი წყალმომარაგებითა და წყალარინების მოწესრიგებული ინფრასტრუქტურით ისარგებლებს.

ქალაქ საშურის წყალმომარაგებისა და წყალარინების პროექტი, სახელმწიფო დაფინანსებით, საფრანგეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს AFD და EU-ს ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარეობს.

პროექტის პარალელურად, სახელმწიფოს ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება: სათავე ნაგებობის, სატუმბო სადგურების, წნევიანი მაგისტრალებისა და რეზერვუარების პროექტირება-მშენებლობის სამუშაოები.



2024 წლის საქართველოს მოსახლეობის და სასოფლო-სამეურნეო აღწერა 14 ნოემბრიდან დაიწყო და 19 დეკემბრის ჩათვლით ჩატარდება



სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წარმომადგენელთან რწმუნებულის ადმინისტრაციაში საიფორმაციო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებული ლევან ხარაბაძე, სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, მუნიციპალიტეტის მერები და საკრებულოს თავმჯდომარეები დაესწრნენ. შეხვედრაზე საუბარი შეუხო მიმდინარე წელს მოსახლეობისა და სასოფლო-სამეურნეო აღწერას, აღწერის ეტაპებსა და ზოგადად, მის მნიშვნელობას.

აღწერა ორ ეტაპად ჩატარდება. პირველი ეტაპი, რომელიც 14 ნოემბრიდან დაიწყო, მოსახლეობის თვითრეგისტრაციას ითვალისწინებს. ეს ეტაპი მოსახლეობას საშუალებას მისცემს თავად შეავსონ კითხვარი, რომელიც აღწერისთვის საჭირო ინფორმაციას მოიცავს. მეორე ეტაპი კი 29 ნოემბრიდან 19 დეკემბრის ჩათვლით განხორციელდება და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მომზადებული 11 000 - მდე ინტერვიუერი მთელი ქვეყნის მასშტაბით, ელექტრონული პლანშეტებისა და სპეციალურად მომზადებული კითხვარისმეშვეობით, კარდაკარისპრინციპით, გამოჰკითხავს მოსახლეობას. აღწერის დროს გაცემული პირადი ინფორმაციის კონფიდენციალურობა კანონით დაცულია.

როგორც შეხვედრისას სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წარმომადგენელმა აღნიშნა, პროცესში მოქალაქეების ჩართულობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ლევან ხარაბაძის თქმით, რწმუნებულის ადმინისტრაცია და მუნიციპალიტეტის მერები კომპეტენციის ფარგლებში ხელს შეუწყობენ აღნიშნულ პროცესს.

აღწერის წინასწარი შედეგები 2025 წლის ივნისში, ხოლო საბოლოო - 2026 წლის ივნისის თვეში გამოქვეყნდება.

ადმინისტრაციულ შენობაში, საშურის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს- „საშურის ახალგაზრდული საბჭოს“ მორიგი შეხვედრა გაიმართა

ახალგაზრდებს შეხვდნენ საშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი, მერის პირველი მოადგილე ზვიად ჟურაძე, მერის მოადგილე ზვიად გოგუაძე, კულტურის სამსახურის უფროსი კონსტანტინე ფრუიძე, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ლელა მაჭარაშვილი და ორგანიზაცია „ახალგაზრდები საშურის განვითარებისთვის“ დამფუძნებელი გიორგი მაჭარაშვილი.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ საშურის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საბჭო ახორციელებს საშურის მუნიციპალიტეტში არსებული სკოლების თვითმმართველობების წევრებთან საინფორმაციო შეხვედრებს, რაც ემსახურება საბჭოს ცნობადობის ამაღლებას, ახალგაზრდების აზრის მოსმენას და მათი ინტერესების მეტად გათვალისწინებას.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა პირებმა და ახალგაზრდებმა ერთობლივად იმსჯელეს სამომავლოდ, პროექტებისა და ინიციატივების განხორციელებაზე.

შეხვედრისას, ხაზი გაესვა, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების სრულფასოვანი მონაწილეობისა და ჩართულობის მნიშვნელობას.



ტრენინგი საყოველთაო აღწერასთან დაკავშირებით

14 ნოემბერს ქვეყნის მასშტაბით მოსახლეობისა და სასოფლო-სამეურნეო აღწერა დაიწყო, რომელიც ყოველ 10 წელიწადში ერთხელ ტარდება.



მონაცემთა შეგროვების პროცესი 19 დეკემბრის ჩათვლით გაგრძელდება. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის წარმომადგენლებთან საინფორმაციო შეხვედრა გამართა საქსტატის მუნიციპალურმა ზედამხედველმა თამუნა აკოფიანმა.

აღწერა ორ ეტაპად ჩატარდება:

პირველ ეტაპზე, მონაცემები შეგროვდება თვითრეგისტრაციის მეთოდით (CAWI). თვითრეგისტრაციის დროს რესპონდენტები დამოუკიდებლად, ინტერვიუერების გარეშე, კომპიუტერის/პლანშეტის/სმარტფონის მეშვეობით, სტანდარტული ინტერნეტ ბრაუზერის გამოყენებით, ელექტრონულად ავსებენ კითხვარებს.

ელექტრონული კითხვარის შესავსებად მსურველებმა უნდა გაიარონ მარტივი რეგისტრაცია საქსტატის მიერ შექმნილ სპეციალურ ვებ-



პლატფორმაზე, რომელიც განთავსებულია საქსტატის ვებ-გვერდზე <https://census2024.geostat.ge/ka>. ელექტრონული კითხვარის შევსების შემდეგ რესპონდენტები მიიღებენ სპეციალურ კოდს, რომელიც უნდა წარუდგინონ მათთან მისულ საქსტატის ინტერვიუერს.

მეორე ეტაპზე, 29 ნოემბრიდან - 19 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში, მონაცემები შეგროვდება საქსტატის 12 000-მდე ინტერვიუერის მიერ, კარდაკარის პრინციპით, პლანშეტური კომპიუტერის გამოყენებით.

აღწერის შედეგად მიღებული იქნება უახლესი ინფორმაცია მოსახლეობის რიცხოვნობის, მათი სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის, დასაქმების, განათლების, ჯანმრთელობის მდგომარეობის, საარსებო წყაროებისა და საცხოვრისების შესახებ. ასევე სასოფლო-სამეურნეო კომპონენტის მეშვეობით, შეგროვდება მონაცემები შინამეურნეობების სასოფლო-სამეურნეო აქტივობის

ლესია უკრაინკას სახელობის მუზეუმ-ბიბლიოთეკის რეკონსტრუქცია დასრულდა

სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით დაბა სურამში დასრულდა ლესია უკრაინკას სახელობის მუზეუმ-ბიბლიოთეკის რეკონსტრუქცია.

ლესია უკრაინკას სახელობის მუზეუმ-ბიბლიოთეკას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი 2019 წელს მიენიჭა და ვინაიდან შენობა მძიმე ავარიულ მდგომარეობაში იყო, იმავე წელს შესყიდული იქნა ძეგლის რეკონსტრუქციის პროექტი. ჩატარებული კვლევების შედეგად, დადგინდა, რომ შენობის შენარჩუნება შეუძლებელი იყო და ძეგლი უნდა დამოღლიყო



აღდგენის მეთოდით.

ძეგლის რეკონსტრუქცია 2020 წლიდან დაიწყო. პირველ ეტაპზე, 2020 წელს, სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით, შენობა სრულად დაიშალა და ახალი შენობის საძირკვლის ქვაბული მომზადდა. მეორე ეტაპის სამუშაოები - საძირკვლისა და სარდაფის კედლების ამოყვანა, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, იმავე წელს მშპ „ჯ.ს.ბ. საქართველომ“ შეასრულა.



მეორე ეტაპის დასრულების შემდეგ სამუშაოები კვლავ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ გადაიბარა. სამუშაოების მესამე ეტაპზე, 2021 წელს, სააგენტოს დაფინანსებით გაკეთდა რკინა-ბეტონის კარკასი და დამზადდა გადახურვის ფილები. 2022 წელს, მეოთხე ეტაპის სამუშაოების შესრულების მიზნით, შემსრულებელი კომპანიის - მშპ „ჯ.ს.ბ. საქართველომ“ მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო, სააგენტოს მხრიდან, ცალმხრივად შეწყდა ხელშეკრულება, რის შემდეგაც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ,

2023 წელს ხელახლა გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი და ბოლო ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოები ამ ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ - მშპ „მშენებელმა“ შეასრულა. ბოლო ეტაპზე მოეწყო ქანობიანი და ბრტყელი სახურავები, შესრულდა სართულშუა გადახურვა, დამონტაჟდა კარ-ფანჯრები, მოეწყო საინჟინრო კომუნიკაციები, აშენდა შიდა და გარე კედლები, შეიღება ღობე და კუთილმოეწყო მუზეუმ-ბიბლიოთეკის ტერიტორია.

ძეგლის რეაბილიტაციისთვის სააგენტომ დახარჯა 1 864 517 ლარი.

ცნობილი უკრაინელი პოეტისა და მწერლის - ლესია უკრაინკას (ლარისა კოსაჩი) სახელობის მუზეუმ-ბიბლიოთეკა 1952 წელს გაიხსნა. აქ დაცულია მწერლის შემოქმედებასთან დაკავშირებული ექსპონატები: პოეტის კრებულები, ხელნაწერები, სახვითი ხელოვნების ნიმუშები, ნუმიზმატიკური, ფოტო- და ეთნოგრაფიული მასალა.

ორიოდე დღის უკან კი მუზეუმმა პირველი დამთავალიერებელი მიიღო - დელეგაცია ლიეტუვიდან, ქალაქ რადვილიშკირის გიმნაზიის პედაგოგ-მასწავლებლები. მუზეუმი ექსპოზიციის მოწყობის სამუშაო პროცესში იმყოფება და მხოლოდ, მცირე ნაწილი ექსპონატების იყო თვალსაჩინო სტუმრებისთვის. სულ მალე განახლებული ექსპოზიციით და ინტერიერით წარსდგება ლესია უკრაინკას მუზეუმი დამთავალიერებლის წინაშე




- საინტერესო ისტორიები -

სტალინი, შალვა ნუცუბიძე და „ვეფხისტყაოსანი“

ის ფაქტი, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ეროვნული საგანძურია და ქართულ კულტურაში დიდ ადგილს იკავებს, უკვე საქართველოს საზღვრებს გასცდა და მთელმა მსოფლიომ გაიგო. შოთა რუსთაველმა პოემა XII საუკუნეში დაწერა. მრავალი მოსაზრება არსებობს, თუ რატომ, ან ვის მიუძღვნა რუსთაველმა ნაწარმოები, მაგრამ ნამდვილი მიზეზი ჯერ კიდევ ამოუხსნელი რჩება. დანამდვილებით მხოლოდ ის ვიცით, რომ ეს ნაწარმოები უნიკალურია და განუმეორებელია მსოფლიოში, ამდენი საუკუნის შემდეგაც კი.

„ვეფხისტყაოსანის“ მსოფლიოში პოპულარობას ისიც მიაწვდიდა, რომ ის უკვე მსოფლიოს თითქმის ყველა ენაზეა ნათარგმნი სრულად. ექსპერტები



მთელი მსოფლიოს გარშემო დღემდე აქტიურად განიხილავენ და მსჯელობენ „ვეფხისტყაოსანსა“ და მის შემქმნელზე.

სრულად „ვეფხისტყაოსანი“, პირველად, რუსულ ენაზე მწერალმა კონსტანტინე ბალმონტმა თარგმნა. 1933 წელს კი გამოიცა პარიზში. ასევე ცნობილია, რომ გამოცემის ერთი წიგნი ბალმონტმა სტალინსაც უსახსოვრა, როგორც ქართველს. ასევე სტალინს უკავშირდება ბალმონტისეული თარგმანის გამოცემა მოსკოვში 1936 წელს. გამოცემა მას შემდეგ მოხდა, რაც სტალინმა თარგმანში ცვლილებები შეიტანა, ჩაამატა ეპიზოდი პოემიდან, მაგრამ მაინც უკმაყოფილო იყო ბალმონტის ნამუშევართ, რაც გამოცემის წინასიტყვაობაშიცაა ასახული.

ეს შემთხვევითი არაა. ცნობილია, რომ სტალინი დიქტატორი იყო. რა თქმა უნდა, მისი უდიდესი სურვილი იყო მარადიული ხსოვნა, რაც მან მოიპოვა კიდევ. ის მუდამ ცდილობდა ეკეთებინა ისეთი საქმეები, რომ საქართველოს ხსენებაზე პირველი მსოფლიოს სტალინი გახსენებოდა. ის ხშირად „ერეოდა“ კულტურულ საქმეებში, მუდმივად საქმის კურსში იყო, ახალი რა იწერებოდა თუ გამოიცემოდა, რაც გასაკვირი იმ დროისთვის ნამდვილად არაა. ის ცდილობდა მანიპულირება მოეხდინა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე ისე, რომ მისი თანამედროვე ქვეყნის ისტორიას მუდმივად მის გარშემო ეტრიალა. სურდა ყველანაირი ღვაწლი თუ საუნჯე მის სახელთან ყოფილიყო დაკავშირებული. ამითვე შეგვიძლია ავხსნათ ის ფაქტი, რომ სტალინმა კიდევ ერთხელ, საკუთარი მეთვალყურეობის ქვეშ, ათარგმნინა „ვეფხისტყაოსანი“.

უნიკალური პოემის სრული თარგმანი რუსულ ენაზე, მეოთხედ, შალვა ნუცუბიძემ შეასრულა. მისივე ჩანაწერებიდან ვიგებთ ამ თარგმანის ისტორიას, რომელიც ძალზედ საინტერესოა. ნუცუბიძემ თარგმანზე მუშაობა 1936 წელს დაიწყო და შესრულებული თარგმანის ნაწყვეტებს ის თავისუფალ აუდიტორიაში უკითხავდა მსურველებს. „ვეფხისტყაოსანის“ თარგმნის მთავარი მოტივი ნუცუბიძესთვის ის იყო, რომ მას გული სწყდებოდა, რადგან არ არსებობდა რუსულ ენაზე პოემის ღირსეული თარგმანი, რომელიც სწორად წარმოაჩენდა როგორც შოთა რუსთაველს და მის ნიჭს, ასევე პოემის გმირებსაც.

შალვა ნუცუბიძეს ნამრომის დასრულება ძალიან რთულ პირობებში მოუხდა, იქიდან გამომდინარე, რომ ის მოულოდნელად დააკავეს. გასაკვირი არაა, რომ მისთვის დაკავების მიზეზი არავის მოუხსენებია, უბრალოდ დააკავეს. „მაღე დამაპატიმრეს ავადხსენებული ბ... პირადი მოსაზრებებით“-

წერს ნუცუბიძე. ავადხსენებული ბ... ბერია გახლავთ. მიუხედავად იმისა, რომ ნუცუბიძის ეს „ნარკვევის“ 1971 წელსაა გამოცემული, დიად მაინც არ საუბრობდნენ ამ თემაზე.

მოგვიანებით, როდესაც ნუცუბიძე გამოიძახეს, გაირკვა, რომ „დიდმა ბელადმა“ ყველაფერი იცოდა მისი ნათარგმნისა და აუდიტორიებში წაკითხული ნაწყვეტების შესახებ. ჰკითხეს, სურდა თუ არა „ვეფხისტყაოსანის“ თარგმნა, გაკვირვებულმა კი იკითხა „თქვენ ეს რატომ გაწუხებთ?“. საქმე ისაა, რომ სტალინს დიდი ხანი იყო უკვე აწუხებდა ეს ამბავი. იქამდე გამოცემული ნათარგმნებით უკმაყოფილო, ცდილობდა ეპოვა გამოსავალი. ეძებდა ნათარგმნს, რომელსაც საკუთარ სახელს მიაწერდა და „ვეფხისტყაოსანსაც“ დიდ სტალინს დაუკავშირებდა.



მას შემდეგ, რაც შალვა ნუცუბიძეს მუქარაც შეუთვალეს და მოთხოვნაც ციხეშივე გაეგრძელებინა „ვეფხისტყაოსანზე“ მუშაობა, ის ასეც მოიქცა. უკვე ნუცუბიძე „პრივილეგიებით“ სარგებლობდა. მთარგმნელთან სადილი თურმე უკვე თანამშრომელთა სასდილოდანი მიჰქონდათ, სამაგიეროდ კი მას გაუჩივებლად უნდა ემუშავა თარგმანზე. კვირის ბოლოს კი მის ნამუშევარს „დიდი ბელადი“ ამოწმებდა, რის შესახებაც თურმე ნუცუბიძეს არაფერი სცოდნია. მისი ნამუშევართი კმაყოფილმა სტალინმა ის ციხიდან პირდაპირ კრემლში გამოიძახა. ბერია მხოლოდ სტალინის სიტყვას ელოდა და მზად იყო ყველანაირი ბრალდების გარეშე მოეწრაფებინა ნუცუბიძის სიცოცხლე. მაგრამ სტალინმა გადაწყვიტა, რომ ის თავისუფლებაში უფრო კარგად მოახერხებდა თარგმნას ამიტომ ციხეში აღარ დააბრუნა. იმ პირობით, რომ თარგმნას განსაზღვრულ დროში დაასრულებდა. ეს ვადა წელიწადი და 6 თვე გახლდათ. ამ დროში შეძინებულ და მუდმივად წნეხის ქვეშ მყოფ ნუცუბიძეს, უნდა დაესრულებინა დარჩენილი „ვეფხისტყაოსანის“ თარგმნა.

სტალინისთვის და ბერიასთვის, ვფიქრობ, სიტყვა თავისუფლება სხვაგვარად ჟღერდა, რადგან ნუცუბიძე ციხესა და ფსიქოტროპულ საავადმყოფოს შორის დაასახლეს. აქ შემთხვევითობას ნამდვილად არაფერი არ ესაქმება, ეს იყო გაფრთხილება და მუდმივი შესხენება იმისა, რომ მისი სიცოცხლე მათ ხელში იყო. ერთადერთი გამოსავალი კი „ვეფხისტყაოსანის“ სწრაფად თარგმნა იყო.

ამ მძიმე მდგომარეობის მიუხედავად, ნუცუბიძემ, შემართებითა და სულიერი სიმტკიცით, მაინც მოახერხა თარგმნის დასრულება. ეს 1939 წლის 1 მაისი მოახლოებისკენ დაასრულა. პოემის სრული თარგმანი სტალინს გაუგზავნეს, რომელიც გულმოდგინედ გაეცნო მას. კრემლში მეორედ მიიწვია ის და სახალხოდაც შეაქო. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ნუცუბიძეს უკვე საფრთხე აღარ ემუქრებოდა. სტალინმა თავად შეიტანა ცვლილებები ამ თარგმანში. ნუცუბიძეს „საჩუქრად“ მიუძღვნა ის ტაეპები, რომლებიც მან თავად შეცვალა და საკუთარ ნათარგმნს საუკეთესოც უწოდა.

გასაკვირი არაა სტალინის მსგავსი დამოკიდებულება. ის საკუთარ თავს, მართლაც საუკეთესოდ მიიჩნევდა. არ არსებობდა სფერო, რომელშიც ის შეუდარებელი არ იქნებოდა. მისი დიქტატორული ბუნება სხვა გასაქანს არ აძლევდა, გარდა იმისა, ყოფილიყო პირველი. „ვეფხისტყაოსანის“ თარგმნისადმი განსაკუთრებული ლტოლვა ამათ აიხსნება. სტალინი არ



ყოფილა გაუნათლებელი პიროვნება, მას კარგად ესმოდა „ვეფხისტყაოსანის“ მნიშვნელობა, არა მარტო ქვეყნისთვის, არამედ, მთელი მსოფლიოსათვის. მისი გულწრფელი სურვილი არ ყოფილა გაეცნო ეს უნიკალური პოემა მსოფლიოსთვის, არამედ იყო სურვილი იმისა, დაეკავშირებინა საკუთარ სახელთან ეს პოემა. მისთვის სამწუხაროდ „ვეფხისტყაოსანს“ თავიდან ვერ დაწერდა, ამიტომ მისი უნაკლო თარგმანის შექმნა არჩია. ეს თარგმანი მისი შესრულებული არ ყოფილა, მაგრამ მაინც ეცადა და იმ დროისთვის მოახერხა კიდევ „საკუთარადაც“ ექცია. შექმნა თარგმანი და გამოსცა ის. მისი აზრით, როდესაც მკითხველი წაკითხავდა ამ თარგმანს გაახსენდებოდა, რომ ის შექმნილი იყო იმ ქვეყანაში, რომლის „დიდი ბელადიც“ სტალინი გახლდათ. ეს იყო მისი სურვილი, მაგრამ ვფიქრობ საწაღელს მაინც ვერ მიაღწია „ვეფხისტყაოსანის“ საშუალებით. ისტორიას ნამდვილად შემორჩა მისი სახელი, მაგრამ არა, როგორც გენიალური პოემის მთარგმნელის სახელით.

ნია ნიქარაძე,
თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ბმ“ 2023წ.#42, #43 2024წ.#2,#3, #4,5,6,7,8,9,10,11,12,15,15,17,18. #36,37,38,39,40,41,42)

გირაობები - ადგ., სახნავი დასავლეთის მხარეს. "რომელიღაც თავადს ტოცელი გლეხისთვის მიწა მიუყიდა. თავადს ფული ვერ დაუბრუნებია თავის დროზე და მიწა გლეხებს დარჩენიათ გირაოდ".

გორგოტის სერი - ადგ., გორაკი დასავლეთის მხარეს, ძველი ნამოსახლარი.

გორგოტის წყალი - ადგ; ღელე დასავლეთის მხარეს. ქმნის გორგოტის წყაროები.

გორგოტის წყარო - ადგ; წყარო დასავლეთის მხარეს.

გრიგალაძელების წყარო - ადგ; წყარო

დამპალა - ადგ., ხევი აღმოსავლეთის მხარეს. "აქ მეზარეობს პატარა ღელე. მისი ორივე მხარე, ნაპირები ძალიან დაჭაობებულია მიწების დაჭაობების, დაღობისაგან წარმოსდგება სახელწოდება".

დამპალას მიწები- იგივეა, რაც დამპალა

დამპალას ხევი- იგივეა, რაც დამპალა

დანგრეულები- ადგილი დასავლეთის მხარეს. "მეწყერიანი ფერდობია".

დიდახობები- ადგ., სახნავი აღმოსავლეთის მხარეს. "ჩვენი სოფლის მოხუცებულები, როცა ისინი სოფლის კეთილდღობაზე გაწეულ ვინმეს შრომას აფასებენ, ხმარობენ ასეთ გამოთქმას: „რას ტრაბახობ, რა დიდი ახობები შენ გაგიჩეხიაო".

დიდლაშე - ადგ., სათესი

ეკლესიის წყარო - წყარო დასავლეთის მხარეს, წმინდა გიორგის ეკლესიასთან ახლოს.

ვარდულა - იგივეა, რაც ქვედაუბანი. ამ ადგილებში ვარდი და ასკილი ყოფილა გავრცელებული. იმერეთიდან გადმოსულებს, რომლებიც აქ დასახლებულან, თავიანთი უბნისთვის ვარდულა შეურქმევიათ".

ზაქროს ჭალა - ადგ., სახნავი სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს. "კერძობის დროს ზაქრო შუბითიდის ყოფილა".

თელეების მიწა - ადგ., სათესი.

თერმი - ადგ; იხ. კვერნიასშვილი მიწა

იფნის მიწა - ადგილი

კვერნიასშვილის მიწა - ადგ; ფიქსირდება გიორგი რიკაძის მიერ 1704 წლის 1 სექტემბერს ლევან რიკაძისათვის მიყიდული მიწის საბუთში: „... მტკიცე სიგელი დაგირწერე [და] მოგეცი მე, რიკაძემა გიორგიმა, შვილმა ჩემა ებიტმა, არდაშელმან და ბერმა, შვილმა ჩვენთა სახლისა მომავალთა შენა, რიკაძეს ლევანსა, შვილსა შენსა ჩ[ი]ნელ[ა]სა, ოთარსა, ბეჟანას, სახლისა მომავალსა თქვენისთა მადგმასა. როდესაცა დაგვეყირა და მოგვიდე ჩემი ალალი მიწა ორი დღისა თერმში. ზეით მიდგმა თავს კვერნიასშვილის მიწამდე, ბოლოს კოკავიძის მიწის მიდგამამდე, ქვეითა ხევის პირამდე".

კოდისწყარო - წყარო

კოკავიძის მიწა - ადგ; იხ. კვერნიასშვილის მიწა

კოცა - იგივეა, რაც ტოცა.

კოცისხევი - მდინარე, ხევი. აქედანაა ტოპონიმი ტოცა.

ლაშეები - ადგილი დასავლეთის მხარეს, სამყვირალოს სერის ჩრდილოეთის ფერდობზე. ატმოსფერული ნალექები ადვილად არ იჟონება თიხის ფენების გამო, რაც მიწების დაჭაობებას, დატენიანებას იწვევს. ზაფხულის პერიოდში წყლის აორთქლების დროს, მიწის ზედაპირზე მარილის თეთრი ნაფიფქები რჩება. აქედან წარმოიშვა ლაშეები, რაც მლაშე მიწას ნიშნავს.

მუხები - ადგილი

მუხის წყალი//მუხის წყარო - წყარო გაღმა უბანში. "დიდი მუხაა და ამ მუხის ძირში გამოდის წყარო. არავინ არ იცის რამდენი წლისაა ეს მუხა. ჩემი დედამთილი 90 წლისაა და ასე ახსოვს".

ნადიკვრები - ადგ., სახნავი დასავლეთის მხარეს. "მწირი ნიადაგია. ამ ადგილებში საშემოდგომო ხორალი კარგ მოსავალს არ იძლეოდა თურმე და ხშირად თესდნენ საგაზაფხულო ხორბალს - დიკას, საიდანაც მიწის ნაკვეთმა მიიღო სახელწოდება - ნადიკვრები".

ნასოფლარი - ადგილი დასავლეთის მხარეს, წმინდა გიორგის ეკლესიის სამხრეთით, მის დაბლა. გადმოცემით, ძველი სოფელი აქ ყოფილა, ასეთია გადმოცემა. თურმე სოფელში შავი ქირი მძვინვარებდა, რასაც დიდი უბედურება მოუტანია ხალხისთვის. ტოცის ეკლესიის სტაროსტას" გლახო ჩაჩანიძეს, რომელიც ჭალიდან ყოფილა, უბედურების მიზეზად მიუჩნევია სოფლის ეკლესიასთან ახლო ყოფნა და დაუწყია და დაქინებით მოითხოვდა. "წმინდა გიორგი გიბრძანებთ, აქედან გამეცალეთ და შორს დასახლდითო, თორემ ქირსა და ვაივავლახს არ გამოგოილევთ სოფელშიო". ტოცელები აყრილან, დაუჯერებიათ გლახო ქადაგისათვის და ეკლესიიდან ძალიან შორს დასახლებულან. იქ სადაც ამჟამად სოფელია. შემდგომში აქვე დასახლებულან საჩხერის რაიონის სოფელ ჭალვანიდან გადმოსული შუბითიძეები და ხარაზიშვილები".

ნაფუძარი//ნაფუძრები - ადგ., სათესი

ოლეები - ადგ., სახნავი ჩრდილო-დასავლეთის მხარეს. "ოლეს ხეები ყოფილა ადრე და გაუჩეხიათ".

რიკაძის ნასახლარი - ადგილი.

რიკაძეების ფარდი - ადგ., სათესი.

სამალავი - ადგ., გვირაბი. ეს გვირაბი გადიოდა წაღვლის ღელეში.

სამება - ადგ., სალოცავი.

სამყვირალო - ადგ., ნასოფლარი ღიხის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე, შიდა ქართლის ვაკეზე, სოფელ ტოცის დასავლეთით.

სამყვირალოს წყალი - ღელე სამხრეთ-დასავლეთის მხარეს.

საყარაულო - ადგ., სათესი დასავლეთის მხარეს, „ადრე ტყის მცველის საგუმბაგო იყო იგივე საყარაულო".

საციხურისბილიკი -გზა. გადადის ს. საციხურზე.

ტოცულა - მდინარე. მიედინება სოფლის შუაში. მას ქმნის ახობების, გორგოტისა და სამყვირალოს წყლები, ერთვის ფცის ფრონეს აბისსთან. ტოცის ფრონესაც ეძახიან. ურმისხლები - ადგ., სათესი.

ფიჭვები - ადგ., ტყე ჩრდილოეთის მხარეს

ქვიანათხარი - ადგ., სამშენებლო ქვის საბადო ტოცაში.

ქვედა უბანი - იგივეა რაც ვარდულა.

ღარდებისფარდი - ადგ., სახნავი დასავლეთის მხარეს.

შავდია - ადგ., სათესი.

ტოპონიმებში გაცოცხლებული ისტორიები

შუა უბანი - უბანი სოფლის ცენტრში.

შუბითიძეების უბანი - უბანი.

შუბითიძეების წყარო - წყარო.

ცაცხვის მიწები//ცაცხვის ფარდი - ადგ., სახნავი სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს. „ძალიან მაღალი ცაცხვები იყო".

ძეგვრის მიწა - ადგ., სათესი.

ძეძვები - ადგ., სათესი.

წაღვლის გზა - გზა.

წიწკილა - წყარო

წმინდა გიორგი - ადგ., სალოცავი.

ჭალა - ადგ., სათესი, საძოვარი.

ჭალები - ადგ., საძოვარი სამხრეთ-დასავლეთის მხარეს. „გორგოტების ძირთან ახლოს, წყალი ჩამოდის შუაში, ორივე მხარეს მინდორია".

ხვედაბუნები - ადგ., სათესი.

სოფელი ფლევი

აგაშენაანთი - უბანი. აქ სახლობენ ნოზაძეები.

ახალები - ადგ., სათესი პატარა ფლევიში.

ბაგრატიონის ბაღი - ადგ., სათესი.

ბალახიანთყე - ადგ., ტყე, გზა სამხრეთ-დასავლეთის მხარეს. „ტყეში გადასასვლელი გზაა და ბალახია, საქონელს ვაძოვებთ".

ბლების მიწა - ადგ., სათესი. იგივეა, რაც ჯონჯოლები.

გველათხევი - ადგ., ხევი პატარა ფლევიში.

გვერდები - ადგ., საძოვარი ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს.

„ადრე იყო ვენახი, მერე გადაშენდა, ეხლა გაშენდა ფიჭვნარი. ძალიან დაფერდებული ადგილი, ადრე ბატონს გაეშენებო ვენახი".

გურგენაანთი - ადგ., ვენახი.

დამპალა - ადგ., სახნავი ჩრდილოეთის მხარეს. „ადრე ტყე იყო, გაჩეხეს, ჰუმუსიანი, ნოყიერი მიწა არის, წყლებიც არის".

დამპალას გზა - გზა.

დამპალეები - ადგ., სათესი.

დიდი ფლევი - სოფელი.

დიდმინდორი - ადგ., სათესი.

დუმაცხოვისღელე - ღელე პატარა ფლევიში.

ეკლესიის მინდორი - ადგ., მინდორი ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს, წმინდა გიორგის ეკლესიასთან.

ვაკეტყე - ადგ., სახნავი ჩრდილო-დასავლეთის მხარეს. „ადრე ტყე ყოფილა, ახლა მინდორია, სახნავი".

ველები - ადგ., სათესი პატარა ფლევიში.

კაპანაძეები - უბანი.

კარებების მიწა - ადგ., სათესი პატარა ფლევიში.

კვერცხობი - ადგ., გორაკი სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს. „ამობურცული ადგილია კვერცხისავით. კვერცხივით ადგილია".

კორდები - ადგ., მინდორი სამხრეთის მხარეს. „პატარა ბუჩქნარი იყო, ახლა წიწვნარია გაშენებული. კორდის ბალახი იზრდებოდა და ბუჩქები იყო".

კორომანი - ადგ., მინდორი სამხრეთის მხარეს. „ტყიდან გამოყოფილი პატარა მინდორია, კორომია".

ლარები - ადგ., სახნავი სამხრეთის მხარეს. „გუთანი სწორ ხაზს ავლებდა, ვაკე ადგილი იყო. გუთანი ლარით მიდისო- იტყოდნენ".

მინდორი - ადგ., სახნავი სამხრეთის მხარეს. „ვენახიც არის, ვაკე ადგილია, დაცემული ადგილია".

მწკრივატყე - ადგ., ტყე აღმოსავლეთის მხარეს. „ხეები მწკრივშია".

ნასოფლარი - ადგილი.

ნაყილები - ადგ., სათესი პატარა ფლევიში.

ნაძვნარი - ადგ., ტყე.

ნერგები - ადგ., ჭაობი პატარა ფლევიში.

ნიკასტყე - ადგ., ტყე.

ოლე - ადგ., სათესი. „აქ იდგა ოლე, რომელსაც უყვარდა მარტო ზრდა, უძლებს გვალვას".

პატარა ფლევი - სოფელი.

სადუმაცხოვო - ადგ., მინდორი დასავლეთის მხარეს.

სათხილეები - ადგილი პატარა ფლევიში.

სამება - ადგ., სალოცავი პატარა ფლევიში.

სამყვირალო - ადგ., სალოცავი, სათესი, ნასოფლარი. „აქ ტყე იყო, ირმები ჩამოდიოდნენ და ყვიროდნენ".

სანახირო - ადგილი

სანდროსახო - ადგ., ტყე, ახო.

საძაგლიშვილების წყარო - წყარო.

საჯვარე - ადგ; უბანი აღმოსავლეთის მხარეს. „პატარა სოფელია. აქ სალოცავია. გზები ერთმანეთს ჯვარედინად კვეთავენ. აქ არის პატარა სალოცველოდ აქვს ოლეს ხე. აქ ნაგარგორელები ამოდიან და ლოცულობენ".

საჯვარისწყარო - წყარო.

სესიანთი - ადგ; უბანი, წყარო.

სერები - ადგ; სერი სამხრეთ-დასავლეთის მხარეს.

სოსნასული - ადგ., სათესი პატარა ფლევიში.

ტეფნაძეები - ადგ; უბანი.

ტყემლის მიწები - ადგ., სათესი, ბაღი.

ფლეულა - ღელე, ჩამოდის სოფლის შუაში, ერთვის ფცის ფრონეს. ეძახიან ფრონესაც.

ღარდები - ადგ., სათესი პატარა ფლევიში. ოღროჩოდრო რელიეფია.

ღვთისმშობელი - ადგ., სალოცავი პატარა ფლევიში.

ღელეები - ადგ., ღელე დასავლეთის მხარეს. „წყლები ამოდის და ჩამოდის ღელე".

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

- ფეხბურთი -

ერთად ვიზეიმოთ „ივერიის“ წარმატება

დღეს, 25 ნოემბერს, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია გიწვევთ საზეიმო ღონისძიებაზე, რომელიც გაიმართება, ხაშურის „ივერიის“ ცენტრალურ სტადიონზე.

15:00-16:00 კონცერტი- Sf-x ზაზა ნოზაძე;

მატიჩი:

17:00-ხაშურის „ივერია“ -ახალქალაქის „აბული“.

19:00-დაჯილდოების ოფიციალური ცერემონია.

ღონისძიება ეძღვნება ხაშურის „ივერიის“ წარმატებას, რომელიც რეგიონული ლიგის „ბ“ ჯგუფის ჩემპიონი გახდა და გადავიდა მომდევნო ლიგაში.



ლიეტუველი მოსწავლეები - ხაშურში

ხაშურის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდულმა სივრცემ, ლიეტუველ და ხაშურის საჯარო სკოლის მოსწავლეებს უმასპინძლა. ლიეტუველი მოსწავლეები, გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ ხაშურის #6 საჯარო სკოლაში, გაცვლითი პროგრამით იმყოფებიან.

ღონისძიების ფარგლებში, გაიმართა სახალისო აქტივობები და სიმბოლური საჩუქრების გადაცემის ცერემონია.

აღსანიშნავია, ისიც, რომ ხაშურის მუნიციპალიტეტის #6 საჯარო სკოლისა და რადვილიშკისის #1 გიმნაზიის დამეგობრება, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით განხორციელდა. ახალგაზრდულ სივრცეში გამართული ღონისძიებებიც, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის მხარდაჭერით მოეწყო.

აქტივობა, სადაც ჩართულები იყვნენ მერიისა და ადგილობრივი საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენლები, #6 საჯარო სკოლის ორგანიზებით გაიმართა.



ხაშურში, დადიანის ქუჩის მოასფალტება დასრულდა

დადიანის ქუჩაზე უკვე განხორციელდა წყლის და წყალარინების რეაბილიტაციის პროექტი, ამიტომ მუნიციპალიტეტს საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის საშუალება მიეცა. ტენდენცია გაგრძელდება და ხაშურის იმ ქუჩებზე, სადაც წყლის პროექტი განხორციელდება, ეტაპობრივად დაიგება ასფალტის საფარი.

დადიანის ქუჩის მოასფალტების სამუშაოები, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება. პროექტის ღირებულება 374 776 ლარს შეადგენს.



სოფელ ხცისში, გზის მოასფალტების სამუშაოები დასასრულს უახლოვდება

პროექტი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხორციელდება და ღირებულება 41 999 ლარს შეადგენს.

ნინო წერეთელი : - მიხარია, რომ შევძლებ ამერიკული ინოვაციური პრაქტიკების საქართველოში გამოყენებას

ხაშურის N1 საჯარო სკოლის ინგლისური ენის მენტორმა მასწავლებელმა, უცხოური ენების საგნობრივმა ექსპერტმა/ქოუჩმა ნინო წერეთელმა სტაჟირება აშშ-ში გაიარა. ნინო წერეთელს ახალი ცოდნის და გამოცდილების მიღების შესაძლებლობა გაცვლითი პროგრამის ფარგლებში მიეცა – ის JEEM საგანმანათლებლო მეთოდოლოგიის ერთობლივი გაცვლის სტიპენდიის ფინანსებითაა.

“როგორც JEEM სტიპენდიის გაცვლითი პროგრამის ფინანსისტი, მონტანას სახელმწიფო უნივერსიტეტში ყოფნისას, შესაძლებლობა მქონდა დავკვირვებოდი სასწავლო პროცესის დინამიკას, არა მხოლოდ უნივერსიტეტში, არამედ დაწყებით, საბაზო და საშუალო სკოლებში, მონაწილეობა მიმეღო პედაგოგიურ დისკუსიებში და შემსწავლავი ისეთი განათლების მოდელები, რომლებიც სტუდენტზე, მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს ეფუძნება”, – აღნიშნა ნინო წერეთელმა.



მისი თქმით, პროგრამა მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა: სტუდენტის, მოსწავლის მუდმივი ზრდის მხარდაჭერი განმავითარებელი შეფასების მეთოდების გაცნობა;

სოციალურ-ემოციური სწავლება (SEL), რომელიც ეხმარება სტუდენტებს, მოსწავლეებს მართონ ემოციები, დასახონ პოზიტიური მიზნები და განვითარონ უნარები,

ტექნოლოგიების ინტეგრაცია, მოსწავლეების, სტუდენტების ჩართულობის და ინდივიდუალური სწავლების გასაუმჯობესებლად, სწავლების უფრო დინამური და ინკლუზიური პროცესის შესაქმნელად.

“გამოცდილებამ საშუალება მომცა დავინახო, თუ როგორ ფუნქციონირებს განათლების სისტემა სხვადასხვა დონეზე, ადრეული ასაკის განვითარებიდან დაწყებული უმაღლესი განათლებით დამთავრებული, როგორ უწყობს ხელს თითოეული ეტაპი მოსწავლეების, სტუდენტების საერთო განვითარებას, მათ აკადემიურ და სოციალურ უნარებს”.

პედაგოგი, ჩვენთან საუბრისას, ყურადღებას ამახვილებს და გამოყოფს ამერიკული განათლების რამდენიმე მისთვის მნიშვნელოვან ფაქტორს.

„დაწყებითი განათლების საფეხური მოიცავს საბავშვო ბაღიდან მეხუთე კლასის ჩათვლითასაკვ. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, დაწყებით სკოლაში ჰყავთ სხვადასხვა სპეციალისტი, მაგ. ფსიქოლოგი, თერაპევტი, ქვევის მართვის სპეციალისტი, სოციო-ემოციური სწავლების სპეციალისტი. ყველა ეს ადამიანი, ზრუნავს იმისათვის, რომ საბავშვო ბაღის ასაკიდანვე ბავშვს ფსიქო-ემოციური მდგომარეობა ჰქონდეს სტაბილური. ყველა მათგანთან მქონდა საუბრები საკუთარი როლებისა და საქმიანობის შესახებ. აქვთ სპეციალური სასწავლო გეგმა, სახელმძღვანელოები რის მიხედვითაც წარმართავენ გაკვეთილებს. მოსწავლეებთან მუშაობენ ინდივიდუალურად და მასწავლებლის ან მშობლის მომართვის საფუძველზე. მე ვფიქრობ, ჩვენთანაც რომ იყოს მსგავსი სპეციალური გაკვეთილები დაწყებითი საფეხურიდან, მომდევნო საფეხურზე გადმოსულ ბავშვებს სრულყოფილად თუ არა, რაღაცა დოზით ექნებათ მზაობა ფსიქო განათლების მისაღებად. შესაძლოა სკოლას არ ჰქონდეს ყველა სპეციალისტის მომსახურების ფინანსური შესაძლებლობა, მაგრამ სოციო-ემოციური სწავლების სპეციალისტი რომ ჰყავდეს, ვფიქრობ, ესეც ძალიან კარგი იქნება, იმისათვის, რომ ბავშვებმა ისწავლონ საკუთარი ქცევის მართვა. ქვევის მართვის სტრატეგიები უნდა იცოდეს ყველა საგნის მასწავლებელმაც, რომ, შესაბამისად, მათაც გამოიყენონ.



საინტერესოა, რომ როდესაც მოსწავლეებს ვუზიარებდი ამერიკული განათლების გამოცდილებას, იყო ასეთი შეკითხვა, მათ სკოლებში თუ არიან მანდატურები და თუ წერდნენ ოქმებს. გამეღიმა და ვუთხარი, რომ არ არიან, მათ არ ჰქირდებათ მანდატური და ოქმი, რადგან იქ ყველამ იცის, რა მიზნით მიდის სკოლაში, რა უნდა გააკეთოს,

როგორ მოიქცეს, რა ცოდნა-განათლება უნდა წამოიღოს სკოლიდან. ბავშვები და ზოგადად, ადამიანები ორიენტირდებიან კონკრეტულ დაკვეთაზე საკუთარი თავის მიმართ, საკუთარ განვითარებაზე.

ასევე, ძალიან მნიშვნელოვანი, რაც იყო, და რაც ყველას შეუძლია გადმოიტანოს პრაქტიკაში და ნებისმიერ კულტურაში განვითარდეს, არის ის, რომ განათლების სისტემა მეტად ორიენტირებულია პრაქტიკულ დავალებებზე, ვიდრე თეორიულ სწავლებასზე. ბავშვები და მათი სასწავლო გეგმებიც უნარებზე ორიენტირებულია. საგნები ინტეგრირებულია. ძირითადად, მასწავლებელი მოსწავლეს აწვდის ინფორმაციას, ინსტრუქციას კლასში სამუშაო დავალების შესახებ. დავალებასთან დაკავშირებული თუ რაიმე საკითხი არის მათთვის უცხო, იმ საკითხებს განმარტავს პედაგოგი, დანარჩენი დრო ეთმობა დავალებაზე მუშაობას. მუშაობის პროცესში მასწავლებელი აძლევს უკუკავშირს. ადარ ვსაუბრობ რესურსებზე. მათი კლასები აღჭურვილია ყველა სახის საჭირო რესურსით. არ შემიძინავს კლასში გაჯეტების მოხმარება, რაც ასევე გასათვალისწინებელია.



კიდევ ერთი, რემედიაცია, ერთ-ერთ სკოლაში საგაკვეთილო ცხრილში გათვალისწინებული იყო, როგორც აქტივობა. რამდენიმე გაკვეთილის შემდეგ, ნახევარსაათიან შესვენებაზე მოსწავლეებს შეეძლოთ შეხვედროდნენ იმ საგნის მასწავლებელს, რომელ საგანშიც გაუჩნდათ დამატებითი შეკითხვა, რაღაცა ვერ გაიგეს და შეეხსოვოთ ცოდნა.

ნინო წერეთელი ერთი თვის განმავლობაში აშშ-ში მონტანას შტატში, ქალაქ ბოუზმენში ცხოვრობდა მასპინძელ ოჯახთან. როგორც მან გავიზიარა, ეს არის ჩვენი ქალაქის, ხაშურის ტიპის, მთებში მოქცეული დასახლება, უფრო მრავალრიცხოვანი მოსახლეობით, ულამაზესი ბუნებით. სადაცადამიანები უფრო საკუთარ ქალაქს, იციან იმ ადგილის, ბუნების ფასი, სადაც ცხოვრობენ. ქალაქი, სადაც ირმები მოსახლეობს, საკვების მისაღებად მიდიან. ქალაქი, სადაც ბატებისთვის და იხვებისთვისაც არსებობს სპეციალური გუბეები, ნიშანი და ზებრა გადასასვლელი.



„მოსახლეობა კეთილგანწყობილი, მეგობრულია, საზოგადოებრივი ტრანსპორტი უფასოა, ქუჩები იწმინდება სისტემატურად. ადამიანები ზრუნავენ ქალაქზე. ყველა მათგანი პასუხისმგებელია ქალაქის ცხოვრებაზე, მის იერ-სახეზე. ძალიან მომეწონა მათთან განვითარებული მოხალისეობრივი საქმიანობა, რამაც მეც მივიღე მონაწილეობა. ვიმუშავე სასადილოში შემწეობის მიმღებთათვის. იქვე განთავსებულია ე. წ. „სურსათის ბანკი“, სადაც საკვები დახარისხებულია იმ რაოდენობის მიხედვით, რამდენი წევრიც შეიძლება ოჯახში იყოს. იქ მისული ადამიანი სწორედ ოჯახის წევრთა რაოდენობის მიხედვით იღებდა საკვებს სადილის მოსამზადებლად. ამით იმის თქმა მინდა, რომ ქალაქი, მოსახლეობა, მთავრობა, ყველა ერთად ზრუნავს იმისათვის, რომ ყველას ჰქონდეს ელემენტარული საკვების მიღების საშუალება.

აქამდე მქონდა წარმოდგენა, რომ აშშ-ში ხანდაზმული ადამიანები იყვნენ გარიყულები. ვფიქრობდი, რომ მათთვის ოჯახური გარემო და სითბო არის ძალიან მნიშვნელოვანი. ბოუზმენში, მონტანაში, მე ეს არ მინახავს. იყვნენ თავმსაფარში მცხოვრები მოხუცები, მაგრამ მათი საცხოვრებელი პირობები არის იდეალური. წარმოდგენა შემეცვალა მათ მეზობლურ ურთიერთობებზეც. “

ნინო წერეთელი დარწმუნებულია, რომ მიღებული ცოდნა და გამოცდილება მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს მის პროფესიულ საქმიანობაში და მეტად ეფექტიანს განდის მის კომუნიკაციას როგორც მოსწავლეებთან, ისე კოლეგებთან.

“ვეგემავ განმავითარებელი შეფასების ტექნიკების და სოციალურ-ემოციური სწავლების (SEL) პრაქტიკის გაზიარებას ჩემს კოლეგებთან, რაც დაეხმარება, მათ, უფრო პასუხისმგებელი იქნებიან და მხარდაჭერი სასწავლო გარემოს შექმნაში, სემინარებისა და ტრენინგების ჩატარებას ახალი ან ნაკლებად გამოცდილი მასწავლებლებისთვის, რათა დავეხმარო თანამედროვე მეთოდოლოგიების დანერგვაში, კულტურული გაცვლითი პროგრამების შექმნას, რათა მოსწავლეებსა და მასწავლებლებს ჰქონდეთ კავშირი სხვა ქვეყნების თანატოლებთან, რათა გააზიარონ ცოდნა და გამოცდილება. მიხარია, რომ შევძლებ ამ ინოვაციური პრაქტიკების საქართველოში გამოყენებას და მუშაობას დინამიური და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შესაქმნელად.”

თ. ახალკაცი

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27. E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499. P-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.